საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის

ბრძანება №59/ნ

2025 წლის 6 აგვისტო

ქ.თბილისი

ზოგიერთი საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭებისა და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტების შესაბამისად **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში (სსმ, №112, 26/09/2005) შეტანილ იქნეს ცვლილება და ამ ბრძანების დანართი №2-ით გათვალისწინებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს:

ა) დაბა ჩოხატაურის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებულ სსიპ – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის საჯარო სკოლას მიენიჭოს ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში თვალსაჩინო წვლილის მქონე ეროვნული მასშტაბით აღიარებული, გარდაცვლილი საერო პირის – ნოდარ დუმბაძისა და სკოლის გეოგრაფიული მდებარეობის აღმნიშვნელი სოფელ ჯვარცხმის საჯარო სკოლის სახელი;

ბ) ქალაქ თეთრიწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებულ სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდგორის საჯარო სკოლას მიენიჭოს ქართული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში თვალსაჩინო წვლილის მქონე ეროვნული მასშტაბით აღიარებული, გარდაცვლილი საერო პირის – დავით აღმაშენებლის სახელი;

გ) ქალაქ ლაგოდეხის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებულ სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალის საჯარო სკოლაში სწავლება განხორციელდეს ქართულ და აზერბაიჯანულ სექტორზე.

მუხლი 2

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში (სსმ, №112, 26/09/2005) შეტანილ იქნეს ცვლილება და ამ ბრძანების:

ა) დანართი №2-ით გათვალისწინებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს:

ა.ა) დაბა ჩოხატაურის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებული საჯარო სკოლების ცხრილის 26-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,

26	ნოდარ დუმბაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯვარცხმის საჯარო სკოლა	მუნიციპალიტეტი ჩოხატაური, სოფელი ჯვარცხმა	დაწ.-საბ.-საშ.

“;

ა.ბ) ქალაქ თეთრიწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებული საჯარო სკოლების ცხრილის მე-17 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,

17	დავით აღმაშენებლის სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდგორის საჯარო სკოლა	სოფელი დიდგორი	დაწ.-საბ.-საშ

“;

ბ) №9 დანართის მე-20 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"

20	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანო – ქალაქ ლაგოდეხის საგანმანათლებლო რესურსცენტრი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალის საჯარო სკოლა	ქართული/აზერბაიჯანული	დაწ-საბ.	ქართული/აზერბაიჯანული

".

მუხლი 3

1. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე, გარდა ამ ბრძანების პირველი მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებისა და მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა.
2. ამ ბრძანების პირველი მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები და მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს ამ ბრძანების გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს განათლების,
მეცნიერებისა და ახალგაზრდობის **გივი მიქანაძე**
მინისტრი